ბრძანება N52

„04“ 03 2016 წელი

ქ. თბილისი

კერძო სამართლის იურიდიული პირების-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და შეფასების სისტემის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან“ თავსებადობის დადგენის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 52-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N74 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის შეფასების წესის“ პირველი მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის–მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი–მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-მასწავლებლთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის პროგრამის მენეჯერის 2016 წლის 19 თებერვლის N159662 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს კერძო სამართლის იურიდიული პირების-ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და შეფასების სისტემის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან“ თავსებადობის დადგენის წესი თანდართული სახით.
2. დაევალოს სსიპ- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯაროდ გამოცხადება და ცენტრის ვებ-გვერდზე www.tpdc.ge განთავსება.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6.)

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

დანართი

კერძო სკოლების მიერ წარმოდგენილი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და შეფასების სისტემის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან“

თავსებადობის დადგენის წესი

1. კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში“ განსახილველად უნდა წარმოადგინონ მათ მიერ შემუშავებული მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და შეფასების თავიანთი სისტემა.

2. კერძო სკოლის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განვითარებისა და შეფასების სისტემა უნდა შეიცავდეს შემდეგ აუცილებელ ინფორმაციას:

1. მასწავლებლის მიერ განსახორციელებელი სავალდებულო და დამატებითი აქტივობების ჩამონათვალი და შესაბამისი კრედიტქულები;
2. მასწავლებლის მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასების კრიტერიუმები;
3. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა შეფასების პროცესი და პროცედურები;
4. სკოლის ბაზაზე შექმნილი ხარისხის განვითარების ან შეფასების ჯგუფის შემადგენლობა.

3. წარმოდგენილი ალტერნატიული სქემის თავსებადობა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან“ შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმები	**დიახ**	**არა**
კრიტერიუმი 1: დოკუმენტაცია / ინფორმაცია სრულყოფილადაა წარმოდგენილი.		
კრიტერიუმი 2: წარმოდგენილ სქემაში სათანადო დოკუმენტაციით ასახულია სკოლის ბაზაზე მასწავლებლის შეფასების ან ხარისხის განვითარების ჯგუფის ჩამოყალიბება.		
კრიტერიუმი 3: წარმოდგენილი სქემა ეფუძნება მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს, რომელშიც მასწავლებლის ოთხი სტატუსია განსაზღვრული და ითვალისწინებს შესაბამის კომპეტენციებს.		

კრიტერიუმი 4: მოქმედი მასწავლებელი, რომელსაც არა აქვს ჩაბარებული საგნის გამოცდა, წარმოდგენილი სქემის მიხედვით ვალდებულია, დადგენილ ვადებში ჩააბაროს სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის, ანდა ისეთი ადგილობრივი ან საერთაშორისო დაწესებულების (მათ შორის, უნივერსიტეტის) მიერ ორგანიზებული გამოცდა, რომელსაც მინიჭებული ექნება შესაბამისი უფლება.		
კრიტერიუმი 5. წარმოდგენილი სქემით გათვალისწინებულ ყველა აქტივობას ახლავს შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებლის ეფექტიან და ხარისხიან შეფასებას.		
კრიტერიუმი 6. წარმოდგენილი სქემა ითვალისწინებს მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და შეფასებას მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.		

4. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის განსახილველად წარმოდგენილი ალტერნატიული სქემის „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემასთან“ თავსებადობას განიხილავს ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული კომისია.